ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთათვის სწავლის საფასურის გრაფიკით გადახდის ვადების დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 6 ნოემბრის №235/ნ ბრძანებით დამტკიცებული „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-18 მუხლის მეორე პუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა მიერ 2013-2014 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის სწავლის საფასურის გრაფიკით გადახდის თაობაზე განცხადებების მიღების ბოლო ვადად განისაზღვროს 2013 წლის 10 სექტემბერი.

2. სტუდენტთა მიერ სწავლის საფასურის გრაფიკით გადახდის თაობაზე განცხადებების განხილვა და ხელშეკრულებების გაფორმება მოხდეს არაუგვიანეს 2013 წლის 12 სექტემბრისა.

3. დაევალოს ფაკულტეტებს, არაუგვიანეს 2012 წლის 14 სექტემბერს, ფინანსურ სამსახურს მიაწოდოს იმ სტუდენტთა სია, რომლებიც სწავლის საფასურის გრაფიკით გადახდის შესახებ გააფორმებენ ხელშეკრულებას.

4. ფაკულტეტებს დაევალოს უზრუნველყონ ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისათვის.

5. ირინა ბაზღაძეს დაევალოს ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისათვის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემა ,,არგუსი"-ს საშუალებით.

6. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაცია განათავსოს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

7. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას, ეს ბრძანება გააცნოს ფაკულტეტებს, საფინანსო და აღრიცხვა-ანგარიშის სამმართველოებს, ხარისხის

უზრუნველყოფის სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და არგუსის კოორდინატორს ცენტრალურ დონეზე - ირინა ბაზღაძეს.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **ზურაბ ჯავახიშვილი**